

კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

შპს საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი

2018 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება (გაგრძელება)	11
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	12

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანთ თორნტონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს საფეხბურთო კლუბის დინამო თბილისის მფლობელს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული შპს საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის ("კომპანია") და მისი შვილობილი კომპანიის (ერთად აღებული "ჯგუფი") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე პერიოდის დასრულებული წლებისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული პერიოდის დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი განხორციელდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ("ISAs") შესაბამისად. პაუსხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით "აუდიტორის პაუსხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე". ჩვენ ჯგუფისგან დამოუკიდებელი ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ ("IESBA Code") შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 26-ე შენიშვნაზე. დაარსების დღიდან ჯგუფი მუდმივად ზარალიანია. ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული შემოსავლები არა არის საკმარისი იმისათვის, რომ დაიფაროს როგორც ყოველდღიური საოპერაციო ხარჯები, აგრეთვე არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის შენახვასა და ახლის შექმნასთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯები. ჯგუფის საქმიანობა ძირითადად ფინანსდება შემოწირულობებით და დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული მნიშვნელოვანი მოცულობის სესხებით. ეს და სხვა გარემოებები,

რომლებიც აღწერილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნა 26-ში, მიუთითებს, რომ თუ ჯგუფის ხელმძღვანელობის მოლოდინები დაკავშირებული მხარეების მიერ შემოწირულობების და დაფინანსების სხვა საშუალებების გაგრძელების თაობაზე მომავალში არ გამართლდება, მაშინ შესაძლოა საწარმოს მიერ მომავალში საქმიანობის უწყვეტად გაგრძელება მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დადგეს. ჩვენ არ ვახდენთ ჩვენი დასკვნის მოდიფიცირებას აღნიშნული საკითხის გამო.

ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის შესახებ, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა საჭირო ინფორმაციის წარდგენას საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის მიხედვით. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი იქნება აუდიტის რეპორტის წარდგენის თარიღის შემდგომ.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებაზე მოსაზრებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების წაკითხვაა მას შემდეგ, რაც იგი ჩვენთვის გახდება ხელმისაწვდომი და ამის შემდგომ გამოვხატავთ აზრს არის თუ არა სხვა ინფორმაცია მატერიალურად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის დროს მიღებული ინფორმაციასთან, ან თუ ადგილი ექნება მატერიალურ უზუსტობებს, წარმოვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (IFRS), ასეთი პასუხისმგებლობა მოიცავს უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების გარეშე შედგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, შიდა კონტროლის სისტემების შემუშავებას, დანერგვასა და განხორციელებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის, როგორც უწყვეტად ფუნქციონირებადი საწარმოს, შესაძლებლობის შეფასებაზე, ამ თემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების გამოაშკარავებაზე და შეფასებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებაზე მიუხედავად იმისა ხელმძღვანელობა აპირებს თუ არა ჯგუფის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან აკეთებს ამას თუმცა არ აქვს ამის რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯასა და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არსწორი წარმართვა.
- ვერკვევით ჯგუფის შიდა კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ჯგუფის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიუთითოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ ჯგუფის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას და შინაარსს, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.
- მოვიპოვებთ სათანადო აუდიტორულ რწმუნებულებას ორგანიზაციის ან ბიზნესის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა აუდიტორული

მოსაზრების გამოსახატად. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობაზე და აუდიტის პროცესის გაძღოლაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჩვენს მიერ გამოხატულ აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი

2019 წლის 28 თებერვალი



ქეთევან ღამბაშიძე
რეგისტრირებული აუდიტორი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი		2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
	შენიშვნა		
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	4	19,827,152	21,465,629
არამატერიალური აქტივები	5	45	23,857
		<u>19,827,197</u>	<u>21,489,486</u>
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	185,157	162,553
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	615,776	707,006
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	8	657,525	972,845
		<u>1,458,458</u>	<u>1,842,404</u>
სულ აქტივები		<u><u>21,285,655</u></u>	<u><u>23,331,890</u></u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>			
საწესდებო კაპიტალი	9.1	34,116,421	34,116,421
კაპიტალში კონტრიბუცია	9.2	17,981,716	16,272,955
აკუმულირებული ზარალი		(61,514,234)	(56,243,816)
		<u>(9,416,097)</u>	<u>(5,854,440)</u>
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
სესხები	10	24,222,511	25,055,936
		<u>24,222,511</u>	<u>25,055,936</u>
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	430,830	362,554
სესხები	10	6,048,411	3,767,840
		<u>6,479,241</u>	<u>4,130,394</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u><u>21,285,655</u></u>	<u><u>23,331,890</u></u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2019 წლის 28 თებერვალს:

ზურაბ ცინცაძე
დირექტორი
შპს "ფეხბურთის კლუბი დინამო თბილისი"
"FOOTBALL CLUB DINAMO TBILISI" LLC
204 423 454

რუსუდან გუდავაძე
ბუღალტერი



კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი		2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებუ ლი წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებუ ლი წლისთვის
	შენიშვნა		
შემოსავალი	12	4,992,251	5,150,007
ხელფასები		(5,179,249)	(5,340,011)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,700,303)	(2,060,350)
საფეხბურთო კლუბის საოპერაციო ხარჯები		(1,312,408)	(1,400,576)
საფეხბურთო აკადემიის საოპერაციო ხარჯები		(349,284)	(273,248)
სხვა ხარჯები	13	(1,131,535)	(1,479,443)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		(4,680,528)	(5,403,621)
ფინანსური შემოსავალი	14	519	47,121
ფინანსური ხარჯი	14	(3,027,506)	(3,342,047)
სხვა ფინანსური ერთეულები	15	(903,762)	(4,387,703)
არასაოპერაციო შემოსავალი	16	3,345,358	4,493,289
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(5,265,919)	(3,356,781)
მოგების გადასახადის ხარჯი		(4,499)	(3,482)
წლის წმინდა ზარალი		(5,270,418)	(3,360,263)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული ზარალი საანგარიშო წლისათვის		(5,270,418)	(3,360,263)

თანდართული შენიშვნები 12-46 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ღარი	საწესდებო კაპიტალი	კაპიტალში კონტრიბუცია	აკუმულირებული ზარალი	სულ
2017 წლის 1 იანვარი	31,982,858	15,999,473	(52,883,553)	(4,901,222)
ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(3,360,263)	(3,360,263)
წლის განმავლობაში მიღებული გაერთიანებული შემოსავალი	-	-	(3,360,263)	(3,360,263)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	2,133,563	-	-	2,133,563
დამატებითი კაპიტალის შენატანი	-	273,482	-	273,482
მფლობელებთან ტრანზაქციები	2,133,563	273,482	-	2,407,045
2017 წლის 31 დეკემბერი	34,116,421	16,272,955	(56,243,816)	(5,854,440)
ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(5,270,418)	(5,270,418)
წლის განმავლობაში მიღებული გაერთიანებული ზარალი	-	-	(5,270,418)	(5,270,418)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
დამატებითი კაპიტალის შენატანი	-	1,708,761	-	1,708,761
მფლობელებთან ტრანზაქციები	-	1,708,761	-	1,708,761
2018 წლის 31 დეკემბერი	34,116,421	17,981,716	(61,514,234)	(9,416,097)

თანდართული შენიშვნები 12-46 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი

	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებუ ლი წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებუ ლი წლისათვის
<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		
ზარალი წლის განმავლობაში	(5,270,418)	(3,360,263)
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,700,303	2,060,350
საპროცენტო ხარჯი	3,027,506	3,342,047
მოგების გადასახადის ხარჯი	4,499	3,482
ფინანსური შემოსავალი	(519)	(47,121)
საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირება	-	(1,004)
საექვო მოთხოვნების რეზერვის ცვლილება	9,617	-
საკურსო სხვაობის (მოგება)/ზარალი	903,762	(848,477)
<i>საოპერაციო მოგება/(ზარალი) კაპიტალში ცვლილებამდე</i>	<u>374,750</u>	<u>1,149,014</u>
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(22,044)	5,343
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(22,604)	109,576
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	68,276	(174,333)
ცვლილება ანარიცხებში	-	(87,152)
<i>ფული საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<u>398,378</u>	<u>1,002,448</u>
გადახდილი პროცენტი	(507,536)	(855,404)
გადახდილი მოგების გადასახადი	(4,499)	(3,482)
<i>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<u>(113,657)</u>	<u>143,562</u>
<i>ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(65,588)	(87,532)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	27,574	-
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	519	47,121
<i>წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	<u>(37,495)</u>	<u>(40,411)</u>

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება (გაგრძელება)

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები

კაპიტალის ზრდის შედეგად მიღებული თანხები	-	2,133,563
სასესხო შემოსულობები	4,469,611	1,825,763
მიღებული სესხების დაფარვა	(4,588,080)	(3,909,831)
<i>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</i>	<i>(118,469)</i>	<i>49,495</i>

ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	(269,621)	152,646
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულზე	(45,699)	(46,724)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	972,845	866,923
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	657,525	972,845

თანდართული შენიშვნები 12-46 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ. კლუბი დინამო თბილისის ისტორია 1925 წლის შემოდგომიდან იღებს სათავეს, როცა სპორტის საზოგადოება დინამოს ხელმძღვანელებმა საფეხბურთო გუნდი ჩამოაყალიბეს.

2011 წლამდე საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის 100%-იანი მფლობელი იყო **Heather Park Properties Limited**-ი, რომელიც ფუნქციონირებს გიბრალტარში. 2011 წლის დასაწყისში გაფორმდა ხელშეკრულება საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისისა და კომპანია **Heather Park Properties Limited**-ს შორის, რომლის თანახმადაც **Heather Park Properties Limited**-ი გახდა კლუბის 90%-იანი მფლობელი. 2011 წლის 28 თებერვალს საფეხბურთო კლუბის მფლობელი გახდა **Alpistal Holding Inc**, რომელიც ფუნქციონირებს პანამაში. მოგვიანებით, ამავე წლის ივნისში **Alpistal Holding Inc**. გახდა კლუბის 100%-იანი მფლობელი. 2011 წლის ივლისში კლუბის 100%-იანი წილი გადაეცა შპს პავლიკო ინვესტმენტს, რომელიც ფუნქციონირებს კეიპროსში და რომლისთვისაც არ არის საავადმყოფო საჯაროდ წარადგინოს წლიური ფინანსური ანგარიშგებები. შპს პავლიკო ინვესტმენტის მფლობელები არიან სოფიკო ფიფია (50%) და ბექა ფიფია (50%). სოფიკო და ბექა ფიფიას წილებს განკარგავს კომპანია **One World Fiduciaries Limited**.

შპს საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის იურიდიული მისამართია დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, დიდმის მასივი, მე-3 კვარტალი, საფეხბურთო სამწვრთნელო ბაზა.

2011 წლის 15 აგვისტოს შპს საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისმა დააარსა შვილობილი კომპანია შპს დინამო არენა და ის წარმოადგენს ამ კომპანიის 100%-იან მფლობელს. შვილობილი კომპანიის იურიდიული მისამართია დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, დიდმის მასივი, მე-3 კვარტალი, საფეხბურთო სამწვრთნელო ბაზა. შვილობილი კომპანიის ოფისის მისამართია დიდუბის რაიონი, ბორის პაიჭაძის ქუჩა 11, თბილისი, საქართველო.

შპს დინამო არენა – უზუფრუქტის ხელშეკრულება

2011 წლის 30 აგვისტოს შპს დინამო არენასა და სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონს შორის გაფორმდა ხელშეკრულება უზუფრუქტის აღნაგობისა და უფლების შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით შპს დინამო არენამ მიიღო აქტივები, მათ შორის სტადიონი, ადმინისტრაციული შენობა და სხვა აღნაგობები. ხელშეკრულების ვადაა 2060 წლის 29 აგვისტო (49 წელი).

ხელშეკრულების ფასი პირველი 5 წლის განმავლობაში განისაზღვრა 850,000 ლარად, რომელიც შედგება ორი სახის გადასახადისგან:

- 700,000 ლარი, დღგ-ს ჩათვლით, განისაზღვრა უზუფრუქტის სარგებლობის საზღაურად. ამ რაოდენობის თანხა უნდა დაიხარჯოს შპს დინამო არენას მიერ სტადიონის რეკონსტრუქციისა და სათანადო მოვლა-შენახვისთვის.

- აღნაგობის უფლებით სარგებლობის საზღაური განისაზღვრა 150,000 ლარით დღგ-ს ჩათვლით. ამ საზღაურის თანაბარი წილი 1/12-ი კომპანიამ უნდა გადაიხადოს ყოველთვიურად.

ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 6 წლის შემდეგ, წლიური გადასახადი განისაზღვრება 650,000 ლარით დღგ-ს ჩათვლით, რომელიც ორ გადასახადზე გადანაწილდება პროპორციულად (535,300 დღგ-ს ჩათვლით უზუფრუქტის სარგებლობის საზღაური და 114,700 ლარი დღგ-ს ჩათვლით აღნაგობის უფლებით სარგებლობის საზღაური).

ხელშეკრულების ვადის განმავლობაში აქტივებთან დაკავშირებული რისკი და კონტროლი გადაეცემა შპს დინამო არენას. სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი არ ჩაერევა კომპანიის საქმიანობაში, ასევე ხელშეკრულების განმავლობაში სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი არ გადასცემს არსებულ აქტივებს მესამე პირს.

სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი უფლებას იტოვებს მოითხოვოს შპს დინამო არენასგან წლიურად გახარჯული რეკონსტრუქციის და მოვლა-შენახვის ხარჯების ინსპექტირება. ინსპექტირების პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღოს ორივე კომპანიამ და შედგენილ იქნეს შესაბამისი ოქმი, რომლის ერთი ასლი უნდა ჩაბარდეს უზუფრუქტარს. შპს დინამო არენამ ხარჯების დადასტურება უნდა მოახდინოს საანგარიშო წლის დასრულებიდან 8 თვის ვადაში, ხარჯების დადასტურება უნდა მოხდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.

ხელშეკრულების ვადის განმავლობაში შპს დინამო არენას უფლება აქვს სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის დასტურის გარეშე:

- იჯარით გასცეს გადმოცემული ქონება - სტადიონის ტერიტორია და მიიღოს შემოსავალი იჯარიდან;
- აღნაგობის უფლება დატვირთოს იპოთეკით მესამე პირის სასარგებლოდ.

ხელშეკრულების ვადის განმავლობაში შპს დინამო არენას უფლება აქვს გადასცეს აღნაგობის უფლება მესამე პირს მხოლოდ სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის თანხმობის შემთხვევაში.

ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტის შემთხვევაში, შპს დინამო არენას არ აქვს უფლება წაიღოს ნაგებობა ან მოხსნას მისი რომელიმე შემადგენელი ნაწილი. ეს წესი არ ვრცელდება მოძრავ აქტივებზე.

დროულად თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში დღიურ ჯარიმად განისაზღვრა 0.1% გადაგადაცილებულ თანხაზე.

თუ შპს დინამო არენა ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით არსებულ ვალდებულებას სტადიონის რეკონსტრუქციისა და სათანადო მოვლა-შენახვისთვის გასაწევი ხარჯების პირობას, მაშინ დაეკისრება ჯარიმა 10,000 ლარი, რომელიც უნდა დაიფაროს 10 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ამ ვადაშიც ვერ შეასრულებს მოვალეობას, დაეკისრება ჯარიმა 250,000 აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც უნდა დაიფაროს 10 დღის განმავლობაში. თუ შპს დინამო არენა ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი უფლებას იტოვებს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

იმ შემთხვევაში, თუ შპს დინამო არენა ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს, 2 თვის განმავლობაში უნდა გადაიხადოს ჯარიმა 10,000 ლარის ოდენობით. თუ ამ ვადაში არ მოხდება ჯარიმის გადახდა, მაშინ ჯარიმა განისაზღვრება დამატებით 250,000 აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც გადახდილ უნდა იყოს მომდევნო 7 დღის განმავლობაში. თუ შპს დინამო არენა ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი უფლებას იტოვებს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად, რომელიც მიღებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ.

2.2 გაანგარიშების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ჯგუფის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა), რადგანაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს არის უფრო გამოსადეგი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის. ლარში გამოსახული ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

“ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” (IFRS) შესაბამისად მომზადებისათვის ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, აგრეთვე შემოსავლებზე და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც მოიცავს მაღალი დონის შეფასებასა და მოსაზრებას, ასევე ანგარიშგების მნიშვნელოვან ნაწილს, სადაც მოსაზრებები და შეფასებები დიდ გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე, წარმოდგენილია მე-17 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

ჯგუფმა მიმდინარე წელს მიიღო და აითვისა ყველა ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია შემუშავებული საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოსა (“IASB”) და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების კომიტეტის მიერ (“IFRIC”), რომელიც შესაბამისობაშია მის ოპერაციებთან დაწყებული 2018 წლის 1 იანვრიდან.

ცვლილებების გავლენა განხილულია ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტანდარტები პირველად დაინერგა 2018 წელს, მათ არ ჰქონიათ მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის წლიურ ანგარიშგებაზე.

ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრის ან შემდგომ დაწყებული საანგარიშო წლებისათვის

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ (“IASB”) გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალ სტანდარტს შემოაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაში და შემოაქვს ახალი ახალი, ე.წ. “მოსალოდნელი ზარალის” მოდელი ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფასს 9 ასევე მოიცავს ახალ განმარტებას ჰეჯირების ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ფასს 9-ის დანერგვისას, ჯგუფმა გამოიყენა გარდამავალი რელიეფი და არ დანერგა წინა პერიოდებზე. განსხვავება, რომელიც წარმოიშვა ფასს 9-ის დანერგვისას კლასიფიკაციასთან, გაზომვასთან და გაუფასურებასთან დაკავშირებით აღიარდა გაუნაწილებელ მოგებაზე.

ახალი სტანდარტი გამოყენებული უნდა იყოს 2018 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომი საანგარიშო პერიოდისთვის.

ფასს 9-ის მიღების შედეგად ცვლილებები არ აღინიშნება ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისას.

ფასს 15 “ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან”

ფასს 15 წარმოადგენს ახალ მოთხოვნას ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებით და იგი ანაცვლავს ბასს 18 *ამონაგებს*, ბასს 11 *სამშენებლო კონტრაქტებს* და რამდენიმე ამონაგებთან დაკავშირებულ სტანდარტებს. ახალი სტანდარტი დაინერგა რეტროსპექტიულად გადაანგარიშების გარეშე, საწყისი დანერგვის კუმულირებული ეფექტი აღიარდა როგორც გაუნაწილებელი მოგების საწყისი ბალანსის კორექტირება 2018 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით.

ფასიკ 22 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად

ფასიკ 22 განიხილავს როგორ განისაზღვრება ოპერაციის თარიღი იმ სავალუტო კურსის დასადგენად, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარებისას.

ფასიკ 22 მიმართავს ამ საკითხს რომ განმარტოს იმ სავალუტო კურსის დასადგენად, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარებისას, ოპერაციის თარიღად მიიჩნევა თარიღი, როდესაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს საავანსო ანაზღაურების გადახდის, ან მიღების შედეგად წარმოქმნილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას.

თუ ავანსად გადახდის ან მიღების ბევრი შემთხვევა არსებობს, საწარმო ოპერაციის თარიღი ცალ-ცალკე უნდა დაადგინოს თითოეული გადახდილი ან მიღებული საავანსო ანაზღაურებისათვის.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული ჯგუფის მიერ

ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის დღისათვის, არის სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“IASB”) მიერ, მაგრამ არაა ძალაში შესული. ჯგუფს ჯერ კიდევ არ დაუწყია მათი დანერგვა ბუღალტრულ ანგარიშგებაში.

ხელმძღვანელობა მოელოდა, რომ ყველა შესაფერისი სტანდარტი, განახლება თუ ინტერპრეტაცია მიღებული იქნება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში იმ დღიდან, როცა ისინი ძალაში შევა. ინფორმაცია იმ სტანდარტებზე, განახლებებზე და ინტერპრეტაციებზე, რომლებსაც გაეგნა აქვთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოყვანილია ქვემოთ. გარდა ქვემოთ აღნიშნულისა, უკვე გამოქვეყნებულია რიგი სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციებიც, რომლებსაც, როგორც ხელმძღვანელობა ვარაუდობს, არსებითი გაეგნა არ ექნებათ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს 9-ში: *წინასწარგადახდის პირობებთან უარყოფითი კომპენსაციით.*

ფასს 9-ის თანახმად ვალის ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლით, მოცემულია რომ საკონტრაქტო ფულადი ნაკადები არის “მხოლოდ გადახდები ძირის

და პროცენტის დარჩენილ ძირ თანხაზე” (SPPI კრიტერიუმი) და ინსტრუმენტს ფლობს შესაბამისი ბიზნეს მოდელის კლასიფიკაციის შესაბამისად. ფასს 9-ის ცვლილებები იკვლევს ფინანსურ აქტივებს, რომლებიც გადის SPPI-ის კრიტერიუმს მიუხედავად გავლენისა და გარემოებისა, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას და მიუხედავად იმისა, რომელი მხარე იხდის თუ მიიღებს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისთვის.

ცვლილებები უნდა განხორციელდეს რეტროსპექტულად და მოქმედებს ფინანსური წლის დასაწყისიდან 2019 წლის 1 იანვრიდან პერიოდისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ არ შეუფასებია ამ ცვლილებების გავლენა მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს და დანართებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 16 მოიჯარეებს დაავალდებულებს “საბალანსო ანგარიშის” მეთოდით აღრიცხული არსებული იჯარები, აღრიცხონ “გამოყენების უფლების” მეთოდით, როგორც საიჯარო აქტივები, ასევე საიჯარო ვალდებულებები.

ფასს 16 აგრეთვე:

- ცვლის იჯარის განსაზღვრებას;
- განსაზღვრავს აღრიცხვის სტანდარტებს აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, შედარებით რთული შემთხვევების ჩათვლით, როგორიც არის არა-საიჯარო ელემენტები, განსხვავებული საიჯარო გადახდები და არჩევითი პერიოდები;
- მოკლევადიან იჯარებს და დაბალი ღირებულების აქტივის იჯარებს უზრუნველყოფს გათავისუფლებისგან;
- ცვლის აღრიცხვას რეალიზაციის და უკუიჯარის გარიგებებზე;
- უცვლელად ტოვებს ბასს 17 მიდგომებს მეიჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით;
- წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს ახსნა-განმარტებით დანართებთან დაკავშირებით.

ფასს 16 მოთხოვნის მიხედვით გამოყენებული უნდა იყოს საანგარიშო წლის დასაწყისში ან 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ. სტანდარტის ადრეული, ნებაყოფლობითი ამოქმედება ნებადართულია ფასს 15 “შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან” სტანდარტთან ერთად. ჯგუფს ნებაყოფლობით არ შეუფასებია ფასს 16 ცვლილების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.6 შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიას:

2018 წლის 31 დეკემბერი შვილობილი კომპანია	მფლობელობა %	ქვეყანა	დაფუძნების თარიღი	ინდუსტრია	შესყიდვის თარიღი
შპს დინამო არენა	100	საქართველო	2011 წლის 15 აგვისტო	სპორტი, არენა	2011 წლის 15 აგვისტო

2017 წლის 31 დეკემბერი შვილობილი კომპანია	მფლობელო ბა	ქვეყანა	დაფუძნების თარიღი	ინდუსტრია	შესყიდვის თარიღი
შპს დინამო არენა	100	საქართველო	2011 წლის 15 აგვისტო	სპორტი, არენა	2011 წლის 15 აგვისტო

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურები

3.1 კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანია კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად დაარეგულიროს ორგანიზაციის ფინანსური და სამუშაო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი სამუშაო საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვისას გამოიყენება შესყიდვის მეთოდი (purchase method). შესყიდული აქტივები და ვალდებულებები, თუ პირობითი ვალდებულებები, დაშვებული ბიზნესის გაერთიანებისას, აღირიცხება შესყიდვის დღეს არსებული სამართლიანი ღირებულებით, უმცირესობის წილის მოცულობის მიუხედავად.

წილი, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი ანგარიშგების თარიღისთვის წარმოადგენს უმცირესობაში მყოფ აქციონერთა წილის აქტივებს, ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს მათი სამართლიანი ღირებულებით შესყიდვის დღეს და უმცირესობის წილს კაპიტალის მოძრაობაში შემოერთების დღიდან. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

ზარალი, რომელიც განაწილებულია უმცირესობის წილზე არ აღემატება უმცირესობის წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ უმცირესობის წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი ნაწილდება ჯგუფზე.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით გაუქმებული ტრანზაქციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან არ არის გათვალისწინებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დროს. არარეალიზებული მოგება რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციებიდან გამოქვეყნებული ინვესტიციიდან სხვა საწარმოში.

3.2 უცხოური ვალუტა

სავალუტო ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის

მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6766 ლარს და ევრო 3.0701 ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.5922 ლარი და 3.1044 ევრო). არაფულადი ერთეულები არაა გადაანგარიშებული პერიოდის ბოლო კურსით და მისი აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული კურსით).

საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის ცვლილებით აღრიცხულია ჯგუფის მოგება-ზარალის ანგარიშში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, დაყენების/მონტაჟის, პროექსიული მომსახურების ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. შენობები, რომლებიც მიღებულია ფინანსური ლიზინგის შედეგად, ასევე აღრიცხულია ძირითად საშუალებებში, როგორც ფინანსური ლიზინგით მიღებული ძირითადი საშუალება. ასეთი ტიპის ქონებას ერიცხება ცვეთა წრფივი მეთოდით გამოყენების ვადის შესაბამისად, ან ლიზინგის პერიოდის შესაბამისად, თუ ეს უკანასკნელი უფრო ხანმოკლე პერიოდს მოიცავს, ვიდრე გამოყენების პერიოდი.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც შეიღობილმა კომპანიამ მიიღო უზუფრუქტის ხელშეკრულების მიხედვით (იხილეთ შენიშვნა 1) არ არის აღიარებული ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ამ მიზნებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს სპეციალურ შეფასებას, რომელიც აღწერილია შენიშვნა 17.1-ში.

მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან, აღრიცხულია დამოუკიდებლად და კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება კონსოლიდირებული მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯები აღიარდება როგორც აქტივი, წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების ცალკე ჯგუფად და ცვეთა ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადისა ან იჯარის ვადიდან უმცირესით.

ცვეთის დარიცხვა ხდება კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის ექსპლუატაციაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდგენიარად ნაწილდება:

შენობა ნაგებობები	- 20 წელი
მანქანა-დანადგარები	- 5-7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	- 5-20 წელი
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	- 5 წელი.

3.4 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარგალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.5 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები შეიცავს ფეხბურთელებზე ლიცენზიებს. ჯგუფმა გააფორმა ხელშეკრულებები და ამორტიზაცია ფეხბურთელის ლიცენზიაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ერიცხება ხელშეკრულებაში მითითებულ პერიოდზე გაანგარიშებით წრფივი მეთოდით, რომელიც დაახლოებით 1-დან 5 წლამდე პერიოდს მოიცავს.

კომპიუტერული პროგრამების ამორტიზაცია ირიცხება კონსოლიდირებული ანგარიშგების მოგება ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასიცოცხლო მომსახურების ვადაა 5 წელი.

3.6 იჯარით (ლიზინგით) აღიარებული აქტივები/იჯარა

ფასს 17-ის მიხედვით, მოიჯარეს იჯარით მიღებულ აქტივებზე ეკონომიკური მფლობელობა გადაეცემა, თუ მასზე გადადის იჯარით აღებული აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი აქტივი

ლიზინგის დაწევის თარიღისთვის აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით, ან, თუ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულება აქტივის სამართლიან ღირებულებაზე უფრო ნაკლებია, მაშინ აქტივი აღიარდება საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების ტოლი თანხით, პლუს თანმდევი გადახდების თანხა. ამავდროულად, შესაბამისი თანხა აღიარდება, როგორც ვალდებულება ფინანსური იჯარაზე, მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა გარკვეული საიჯარო ვალდებულების გადახდა იჯარის ვადის დაწყებამდე.

შემდგომში, ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით ფლობილი აქტივების აღრიცხვა, მაგალითად ცვეთა და აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ხდება ისეთნაირადვე, როგორც იმ მსგავსი აქტივების აღრიცხვა, რომლებიც იურიდიულად ეკუთვნის ჯგუფს. ფინანსურ იჯარაზე ვალდებულება მცირდება გადახდილი საიჯარო გადასახდელების შესაბამისად, რომლებიც შემცირებულია ფინანსური ხარჯებით, რომლებიც თავის მხრივ მოგება-ზარალში ფინანსურ ხარჯებად აღიარდება. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს დასაფარი ძირი თანხის მუდმივ პროპორციას და აღიარდება მოგება-ზარალში საიჯარო ვადის განმავლობაში.

ყველა სხვა იჯარის ხარჯი აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარაზე გადასახდელი თანხები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. სხვა ასოცირებული დანახარჯები, როგორებიცაა რემონტის დანახარჯები და დაზღვევა, აღიარდება მოგება-ზარალში ხარჯის გაწვევითანავე.

3.7 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება ხდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან გაუქმდა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შესაბამისი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა პეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ხარჯი

- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით
- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

წარმოდგენილ პერიოდში ჯგუფს არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია - FVOCI.

კლასიფიკაცია განსაზღვრული შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ჯგუფის ბიზნეს მოდელი გამოყენებული ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯით, ფინანსური შემოსავლით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტით, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით. ჯგუფის ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 18.2.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL)

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება გამოტოვებულია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება აგრეთვე ბირჟაზე დარეგისტრირებული ობლიგაციები, რომლებიც აქამდე დარეგისტრირებული იყო როგორც დაფარვის ვადადამდე (HTM) ბასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივები მოგება-ზარალის გავლით (FVTPL)

ფინანსური აქტივები, რომლებიც კომპანიას აქვს განსხვავებული ბიზნეს მოდელით "hold to collect" ან "hold to collect and sell" მოდელით, მიიჩნევა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივი მოგება-ზარალის გავლით კატეგორიაში. იმ ბიზნეს მოდელის მიხედვით, რომლის თანახმადაც განსაზღვრულია კონტაქტუალური ფულადი ნაკადები ძირისა და დარიცხული პროცენტისა, აღიარდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით (FVTPL). ყველა ფინანსური ინსტრუმენტის დერივატივი ხდება მოგება-ზარალის გავლით (FVTPL) კატეგორიაში, გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა.

ამ კატეგორიაში გაერთიანებული აქტივები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხდება აქტიური ბაზრის მონაცემებით ან გამოიყენება შეფასების ტექნიკა, იქ სადაც აქტიური ბაზარი არ არსებობს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელი“. ახალ არეალში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალ

ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებულ ხარჯად და FVOCI, სავაჭრო მოთხოვნები, სახელშეკრულებო აქტივები აღიარებული და შეფასებული ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულება და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული ჯგუფის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად ჯგუფი განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გაგვინა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამოიყენა ხდება:

- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (ფაზა 1), და
- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (ფაზა 2)

ფაზა 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

ფინანსური აქტივების წინა გაუფასურება ბაზს 39-ის მიხედვით.

წინა წელს, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება დაფუძნებული იყო განცდილი ზარალის მოდელზე. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მოთხოვნები გაუფასურებისთვის განხილული იყო, ვადაგადასვლობის შემთხვევაში ან როდესაც ობიექტური მტკიცებულების მიხედვით კონკრეტული შემხვედრი მხარე ვალდებულებას ვერ შეასრულებდა. მოთხოვნები, რომლებიც არ იყო ინდივიდუალურად განხილული გაუფასურებისთვის, განიხილებოდა ჯგუფებში, რაც დამოკიდებულია ინდუსტრიასთან მიმართებაზე, შემხვედრი მხარის რეგიონზე, და სხვა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებზე. გაუფასურების ზარალის შეფასება დაფუძნებული იყო შემხვედრი მხარის ისტორიული შეუსრულებელი ვალდებულების კოეფიციენტზე თითოეული დადგენილი ჯგუფისთვის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

ჯგუფი იყენებს გამარტივებული მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას გამოსმიერ დროს. ანგარიშის დროს, ჯგუფი იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

ჯგუფი აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით. იხილეთ შენიშვნა 7 დეტალური

ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9-ის დანერგვა გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

იქიდან გამომდინარე, რომ ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდი რჩება თითქმის იგივე ფასს 9-ის მიხედვით ბასს 39-თან შედარებით, ჯგუფის ფინანსურ ვალდებულებებზე გავლენა არ მოუხდენია ფასს 9-ის დანერგვას. მიუხედავად ამისა, სრულყოფილებისთვის აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია დაბლა.

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, ბონდებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 18.2 შენიშვნაში.

სასესხო ვალდებულებები

სესხები აღიარებულია თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით, წმინდა გაცემის ღირებულებით, რომლებიც დაკავშირებულია სესხებთან. სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის აღება ხდება მესაკუთრისგან. ამ შემთხვევაში განსხვავება სამართლიან და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით ნებისმიერი სხვაობა ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში, პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები დაკავშირებულია სესხებთან არის ფინანსური ხარჯის ნაწილი, გარდა ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია შესყიდვასთან, საკვალიფიკაციო აქტივის კონსტრუქციასთან, რომლებიც კაპიტალიზირდება როგორც აქტივის ნაწილი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.9 კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს გამოშვებული წილის ნომინალურ ღირებულებას.

აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალებს.

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად

განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიცი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

2016 წლამდე დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებაზე, 2017 წელს ან წინა პერიოდებში გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდი, იბეგრება მოგების გადასახდით წინა წლების მოდელის მიხედვით.

აღნიშნული ცვლილების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და მათ საგადასახადო ბაზას შორის, შესაბამისად ბაზს 12-ის მიხედვით, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება 2017 წლის 1 იანვრისთვის.

3.11 შემოსავლის აღიარება

ჯგუფი შემოსავალს გამოიმუშავებს მატჩებზე ბილეთების გაყიდვით, ფან შოპიდან სუვენირების, ტანსაცმლისა და სპორტული აღჭურვილობის რეალიზაციით, სტადიონის და სტადიონის ირგვლივ ტერიტორიის გაქირავებიდან (სადაც განთავსებულია მანქანების პარკირება და მაღაზიები).

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული ჯგუფმა უნდა შეასრულოს 5 საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება

ჯგუფის შემოსავალი მცირდება მოსალოდნელი დაბრუნებებისგან, ფასდაკლებებისგან და სხვა დათმობებისგან.

რეალიზაცია

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონელთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და უფლებას;
- ჯგუფი არ ინარჩუნებს არც საკუთრებასთან დაკავშირებულ მენეჯმენტში ჩართულობის უფლებას და არც კონტროლს გაყიდულ პროდუქციაზე;
- შემოსავლის თანხობრივი შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- სავარაუდოა რომ ტრანზაქციას მოყვება ეკონომიკური სარგებლის შემოღინება და;
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული გაწეული ან გასაწევი დანახარჯების შეფასება შესაძლებელია საიმედოდ.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროის გათვალისწინებით, ძირითადი თანხისა და იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, რომელსაც ფინანსური აქტივისგან სიცოცხლის განმავლობაში მისაღები სავარაუდო ფულადი შემოსავლები დაჰყავს ამავე აქტივის წმინდა საბალასო ღირებულებამდე.

საიჯარო შემოსავალი

საიჯარო შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოწირულობები

დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული შემოსავლები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როცა თანხები იქნა მიღებული.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი

	მიწა და შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები, კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი და სხვა	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	დაუმთავრებე- ლი მშენებლობა	სულ
<i>ღირებულება</i>						
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	25,616,157	2,393,887	5,125,611	1,364,087	81,952	34,581,694
შემოსვლა	1,800	54,506	31,226	-	-	87,532
გასვლა	-	-	(43,803)	-	-	(43,803)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	25,617,957	2,448,393	5,113,034	1,364,087	81,952	34,625,423
შემოსვლა	-	-	29,422	20,160	16,006	65,588
გასვლა	-	-	-	-	(27,574)	(27,574)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	25,617,957	2,448,393	5,142,456	1,384,247	70,384	34,663,437
<i>დაგროვილი ცვეთა</i>						
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4,490,346	1,852,814	3,871,633	980,270	-	11,195,063
წლის ცვეთა	1,037,454	388,514	355,672	226,894	-	2,008,534
კლების შედეგად ცვეთის კორექტირება	-	-	(43,803)	-	-	(43,803)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,527,800	2,241,328	4,183,502	1,207,164	-	13,159,794
წლის ცვეთა	990,086	202,464	365,718	118,223	-	1,676,491
კლების შედეგად ცვეთის კორექტირება	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,517,886	2,443,792	4,549,220	1,325,387	-	14,836,285
<i>საბალანსო ღირებულება</i>						
2017 წლის 31 დეკემბერი	20,090,157	207,065	929,532	156,923	81,952	21,465,629
2018 წლის 31 დეკემბერი	19,100,071	4,601	593,236	58,860	70,384	19,827,152

2017 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალება დატვირთული იყო იპოთეკით სს ვი თი ბი ბანკიდან მიღებული სესხების სანაცვლოდ (შენიშვნა 10).

დაუმთავრებელ მშენებლობას წარმოადგენს საფეხურთო აკადემია მომავალი ფეხბურთელებისთვის. აკადემიის ტერიტორიაზე განლაგებულია სპორტული მოედნები და ჩოგბურთის კორტი. მშენებლობა ასევე მოიცავს დინამო არენას ტერიტორიებს წერეთლის გამზირზე, სადაც უახლოეს მომავალში იგეგმება რესტორნის აშენება.

იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებას წარმოადგენს უზუფრუქტის შეთანხმების ფარგლებში მოედნის კეთილმოწყობაზე გაწეული კაპიტალური დანახარჯები.

2017 წლისთვის, უზუფრუქტის შეთანხმებით გათვალისწინებული მინიმალური დანახარჯები დღგ-ის ჩათვლით, წლიური 700,000 ლარის ოდენობით, თანხვედრაშია ძირითადი საშუალებების მატებასა და საოპერაციო დანახარჯებთან.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა სრულად დაარიცხა ცვეთა ძირითად საშუალებებს ისტორიული ღირებულებით 5,846,051 ლარის რაოდენობით. (2017 წლის 31 დეკემბერი: 4,216,365 ლარი)

5 არამატერიალური აქტივები

ლარი

	კომპიუტერული პროგრამა	ფეხბურთელების ლიცენზიები	სულ
<i>ღირებულება</i>			
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	95,968	105,974	201,942
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	95,968	105,974	201,942
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	(105,974)	(105,974)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	95,968	-	95,968
<i>ღაგრვილი ამორტიზაცია</i>			
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	75,817	50,452	126,269
წლის ამორტიზაცია	14,413	37,403	51,816
კლების შედეგად კორექტირება	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	90,230	87,855	178,085
წლის ამორტიზაცია	5,693	18,119	23,812
კლების შედეგად კორექტირება	-	(105,974)	(105,974)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	95,923	-	95,923
<i>საბალანსო ღირებულება</i>			
2017 წლის 31 დეკემბერი	5,738	18,119	23,857
2018 წლის 31 დეკემბერი	45	-	45

2018 და 2017 წლებში ჯგუფს არ შეუძენია ტრასფერის ხელშეკრულებით ფეხბურთელები.

ლიცენზიები რომლებსაც ამოწურაო მოქმედების ვადა და მოლიანად გაიცვითა, ჩამოიწერება. სალიცენზიო ვადის ამოწურვის შემდეგ, აღნიშნული ლიცენზიის მქონე ფეხბურთელები დაინიშნენ კლუბის თანამშრომლების პოზიციაზე.

6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

ღარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მაღაზიის მარაგები	81,673	73,557
ტანსაცმელი და სპორტული ინვენტარი რეალიზაციისთვის	61,081	46,906
მასალები მოედნისთვის	36,854	36,854
სხვა მარაგები	5,549	5,236
	185,157	162,553

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ღარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
<i>ფინანსური აქტივები</i>		
სავაჭრო მოთხოვნები	669,216	810,667
საეჭო მოთხოვნების რეზერვი	(231,655)	(222,038)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	437,561	588,629
<i>არაფინანსური აქტივები</i>		
წინასწარ გაცემული ავანსები	141,902	88,902
წინასწარი გადახდები სახელწიფო ბიუჯეტში	36,313	29,475
წინასწარი გადახდები სახელწიფო ბიუჯეტში	615,776	707,006
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	669,216	810,667

სავაჭრო მოთხოვნები არის მოკლევადიანი. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოთხოვნები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ მოლიანად ანაზღაურებადია. სახელმწიფო ბიუჯეტში წინასწარი გადახდები შედგება:

ღარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საშემოსავლო გადასახადი	3,071	-
სხვა გადასახადი	26,404	82,965
	29,475	82,965

შენიშვნა 19 ბ-ში წარდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ანალიზი. შესაღარიის ინფორმაცია აღრიცხულია ბასს 39-ის მიხედვით, რომელიც გულისხმობს გაუფასურების ზარალის აღრიცხვას. ეს სტანდარტი მიმდინარე პერიოდს ჩაანაცვლა ფასს 9-მ, რომლის თანახმად ხდება მოსალოდნელი დანაკარგის (ზარალის) გაანგარიშება და აღრიცხვა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარდგენილია ღარში.

8 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფული ხელზე	4,916	10,245
ფული საბანკო ანგარიშებზე	652,609	962,600
	657,525	972,845

სავაჭრო მოთხოვნების ვალუტების მიხედვით გაშლა იხილეთ შენიშვნა 19-ში.

9 კაპიტალი და რეზერვები

9.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შედგება ერთი წლისგან ნომინალური ღირებულებით 34,116,421 ლარი (2017: 34,116,421 ლარი), რომელიც ეკუთვნის შპს პავლიკო ინვესტმენტს.

9.2 კაპიტალში კონტრიბუცია

კაპიტალში კონტრიბუცია წარმოადგენს სესხის აღიარების მომენტიდან წარმოქმნილ სხვაობას სესხის ნომინალურ ღირებულებასა და სესხის სამართლიან ღირებულებას შორის, მომავალი ფულადი გადახდები დისკონტირებულია 13%-იანი ეფექტური საპორცენტო განაკვეთით. კაპიტალში კონტრიბუცია, ასევე მოიცავს დამატებით ინვესტიციას, რომელიც განხორციელდა დამფუძნებლის მხრიდან სესხზე ღარიცხული პროცენტის პატიების სახით.

- 2015 წელს განხორციელდა სესხის რესტრუქტურიზაცია. სესხის ნომინალური ღირებულება განისაზღვრა 29,134,857 ლარით, ხოლო მისი სამართლიანი ღირებულება აღიარების მომენტიდან - 27,067,282 ლარი, რომელიც დათვლილია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების შედეგად, გაანგარიშებული წლიური 13%-ით. მათ შორის წარმოქმნილი სხვაობა - 2,067,575 ლარი ჯგუფმა აღიარა, როგორც დამატებითი კაპიტალის ელემენტი - კაპიტალში კონტრიბუცია.
- 2016 წლის 31 დეკემბრისათვის განხორციელდა სესხის რესტრუქტურიზაცია, რომელიც შედეგად, სესხზე დარიცხული პროცენტის პატიება მოხდა 15,301,570 ლარის ოდენობით. სხვაობა, რომელიც წარმოიშვა რესტრუქტურიზებული სესხის სამართლიან ღირებულებასა (17,110,194 ლარი) და ნომინალურ ღირებულებას (17,808,097 ლარი) შორის 697,903 ლარი, აღიარდა როგორც კაპიტალში კონტრიბუცია.
- 2017 და 2018 წლების განმავლობაში მოხდა სესხის ნაწილის გადახდა და ნაწილის დაკავშირებული მხარეების მოთხოვნებთან გაქვითვა. მითითებული მატება კაპიტალის კონტრიბუციაში წარმოადგენს სესხის გრაფიკის ცვლილების გამო წარმოქმნილ სხვაობას სესხის ახალ სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის 2017 წლის განმავლობაში 273,482 ლარის და 2018 წლის განმავლობაში 1,708,761 ლარის რაოდენობით ნომინალური ღირებულებით.

10 სესხები

ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
არაუზრუნველყოფილი სესხები				
დაკავშირებული მხარეებისგან	1,604,514	102,417	19,555,198	18,613,065
უზრუნველყოფილი ბანკის სესხები	3,727,308	3,665,423	4,667,313	6,442,871
არაუზრუნველყოფილი ბანკის სესხები	716,589	-	-	-
	6,048,411	3,767,840	24,222,511	25,055,936

საბანკო სესხების ვადა შეადგენს 5 წელს, საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი კი 8.39%-ს. (2017 წელს: წლიური 11%).

საკრედიტო ხაზზე შეთანხმება, მიღებული შვილობილი კომპანიის მიერ, უზრუნველყოფილია უზუფრუქტის უფლებით, 2011 წლის 30 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით შვილობილ კომპანიასა და სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონს შორის (შენიშვნა 1). 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია დარჩენილი სასესხო ვალდებულება საკრედიტო ხაზის შეთანხმების ფარგლებში.

მშობელი კომპანიის მიერ მიღებული საბანკო სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებით (იხილეთ შენიშვნა 4).

სესხების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მის საბალანსო ღირებულებას.

სესხები შესაბამისი ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19-ში.

ვითიბი ბანკისგან მიღებული სესხები ჯგუფის მიერ გაფორმდა 2014 წლის 5 ივნისს და 2014 წლის 21 ოქტომბერს (იხილეთ ცხრილი ქვემოთ). თავდაპირველად სესხის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 1-ლი აპრილით. ამ თარიღისთვის ხელშეკრულებაში შევიდა შესწორება და სესხის დაფარვის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 4 იანვრით. 2016 წლის 5 იანვრით დათარიღებულ ახალ ხელშეკრულებაში კი სესხის დაფარვის თარიღი გახანგრძლივდა 2021 წლის 5 თებერვლამდე. ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად, მისი ძალაში შესვლიდან 2 თვის შემდეგ, მშობელი კომპანია ვალდებულია ვითიბი ბანკში გახსნას საბანკო ანგარიში მისი და შვილობილი კომპანიის (შპს დინამო არენა) სახელზე და საბანკო ტრანზაქციების 70% განახორციელოს ამავე ბანკში. მას გარდა, სესხის უზრუნველყოფის მიზნით, მშობელი კომპანია ვალდებულია დააგირაოს კუთვნილი კაპიტალის 40% და წარადგინოს საგარანტიო შეთანხმება, რომელშიც შვილობილი კომპანია წარმოადგენს შპს საფეხბურთო კლუბ დინამოს გარანტიორს.

2018 წლის განმავლობაში დამატებით ხელშეკრულება დაიდო სს ვი თი ბი ბანკ საქართველოსთან, რის მიხედვითაც ბანკმა გადადო პროცენტის და ძირი თანხის გადახდა 2019 წლის აპრილამდე და შესაბამისი საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 8%-მდე.

2018 წლის განმავლობაში მშობელმა კომპანიამ მიიღო არაუზრუნველყოფილი საბანკო სესხები სს პაშა ბანკ საქართველოსგან 90,000 ევროს, 135,000 ლარის და 295,00 ლარის ოდენობით. ყველა სესხი მოკლევადიანია.

2015 წლის 31 დეკემბრისთვის მშობელი კომპანიის მიერ დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები გაერთიანდა 1 სესხად. ამ თარიღისთვის სესხის მთლიანი ძირი თანხა შეადგენდა 7,328,161.62 აშშ დოლარს, შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი კი 13%-ს წლიურად. 2015 წლის 31 დეკემბრისთვის მთლიანი

დარიცხული პროცენტი შეადგენდა 4,837,213.43 აშშ დოლარს. დაფარვის თარიღი როგორც ძირითადი თანხის, ისე პროცენტის განსაზღვრულია 2020 წლის 2 თებერვლით. ხელშეკრულების თანახმად, მშობელი კომპანია ვალდებულია პერიოდის ბოლოს დაფაროს ძირითადი თანხა პროცენტთან ერთად. სესხის რეალური ღირებულება მისი აღიარებისას განისაზღვრა მომავალი ფულადი ნაკადების 13%- იანი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების საფუძველზე. სხვაობას რეალურ და ნომინალურ ღირებულებას შორის ჯგუფი აღიარებს როგორც კაპიტალის დამატებით ელემენტს –კაპიტალში შენატანებს (შენიშვნა 10.2).

2016 წლის განმავლობაში დაფარულ იქნა 600,000 აშშ დოლარის ოდენობის ძირითადი თანხა. ამას გარდა, 2016 წლის 31 დეკემბრისთვის სესხი რესტრუქტურირებულ იქნა და 15,301,570 ლარის ნომინალური ღირებულების პროცენტის პატიება მოხდა. სხვაობა შესწორებული სესხის სამართლიანი ღირებულებით აღიარებასა (17,110,194 ლარი) და მის ნომინალურ ღირებულებას შორის (17,808,097ლარი) შორის 697,903 ლარი აღიარდა კაპიტალში კონტრიბუციის სახით.

2017 წლის განმავლობაში მოხდა სესხის ნაწილის გადახდა (21,000 დოლარი) და ასევე, ჯგუფის მოთხოვნასთან (შპს “ვი აი პი სტომატოლოგიასთან” მოთხოვნა იჯარის გადასახადზე) გაქვითვა (43,156 დოლარი). 2017 წლის განმავლობაში 273,482 ლარი წარმოადგენს სესხის გრაფიკის ცვლილების გამო წარმოქმნილ სხვაობას სესხის სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახა კაპიტალის კონტრიბუციაში.

2018 წლის განმავლობაში ძირითადი თანხის ნაწილის გაქვითვა მოხდა ჯგუფის დაკავშირებული მხარეების მოთხოვნებთან. შეთანხმება დაიდო ჯგუფის დედა კომპანიასთან შპს “ალპისტალ” და შპს “ვი აი პი სტომატოლოგიასთან” (დაკავშირებული მხარე), სადაც სესხის ძირითადი თანხის ნაწილი 38,728 აშშ დოლარის რაოდენობით გაიქვითა მოთხოვნებთან შპს “ვი აი პი სტომატოლოგიისგან”. წარმოქმნილი სხვაობა სესხის სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდა, როგორც კაპიტალში კონტრიბუცია.

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	171,698	161,818
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	201,507	200,736
მიღებული ავანსები	1,127	-
ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ	56,498	-
	<u>430,830</u>	<u>362,554</u>

სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი.

ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე შემდეგია:

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საშემოსავლო გადასახადი	3,250	-
მიწის გადასახადი	116	-
ქონების გადასახადი	15,263	-
სხვა	37,869	-
	<u>56,498</u>	<u>-</u>

12 შემოსავალი

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებუ ლი წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებუ ლი წლისათვის
შემოსავალი ფეხბურთელების ლიცენზიების გაყიდვიდან	1,781,640	2,800,144
შემოსავალი იჯარიდან	1,643,346	1,461,204
შემოსავალი ფეხბურთის აკადემიიდან	499,783	242,556
ავტოპარკინგის ტერიტორიიდან მიღებული შემოსავალი	248,205	241,629
რეკლამიდან და სპონსორობიდან მიღებული შემოსავალი	217,066	104,622
შემოსავალი მაღაზიიდან (ფან-შოპი)	149,340	134,636
შემოსავალი ბილეთების რეალიზაციიდან	23,361	15,033
სხვა	429,510	150,183

13 სხვა ხარჯები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებუ ლი წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებუ ლი წლისათვის
კომუნალური ხარჯები	278,457	246,655
რეკლამირებისა და სხვა პალეოგრაფიული ხარჯები	154,404	252,965
საწვავის ხარჯი	122,174	149,678
იჯარის ხარჯი	107,631	85,444
საწვევროს გადასახადი	99,005	120,203
საკონსულტაციო და სერვისის ხარჯები	90,785	100,964
გადასახადები და ჯარიმები გარდა მოგების გადასახადისა	66,573	245,001
ბანკის საკომისიო	45,549	20,192
ლოჯისტიკის და საოფისე აღჭურვილობის ხარჯი	43,915	30,623
გამოუქმეთავი ხარჯები	27,081	21,082
შეკეთების ხარჯი	22,955	39,069
საექვო მოთხოვნების ჩამოწერა	9,616	(1,004)
ანარიცხები საგადასახადო ვალდებულებებისთვის (კორექტირება)	-	(54,088)
სხვა ხარჯები	63,390	222,659
	1,131,535	1,479,443

იჯარის ხარჯი მოიცავს შენიშვნა 1-ში აღწერილი უზუფრუქტისთვის გადასახდელი იჯარის წილს მთლიანი თანხით წლიური 150,000 ლარის ოდენობით დღგ-ის ჩათვლით. საიჯარო გადასახადი გადაიხდება ყოველთვიურად, მთლიანი საიჯარო გადასახადის 1/12 წილის შესაბამისი თანხით.

საგადასახადო ვალდებულებების ანარიცხი (კორექტირება)

2016 წლის განმავლობაში საგადასახადო შემოწმება ჩატარდა შვილობილ კომპანიაში საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ. 2016 წლის 2 დეკემბერს საქართველოს შემოსავლების სამსახურმა გამოუშვა აქტი საგადასახადო შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, რომელიც მოიცავს შვილობილი კომპანიის 2012 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს. შემოწმების შედეგად დამატებითი საგადასახადო ვალდებულება წარმოიქმნა 87,152 ლარის რაოდენობით ქონების გადასახადის შესაბამისად. კომპანიამ აპელაცია შეიტანა საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც საგადასახადო კომიტეტმა დააკისრა საგადასახადო ვალდებულება ბრძანება ნომერი 36219-ის მიხედვით. 2017 წლის განმავლობაში, დავა განხილულ იქნა და გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც დათარიღებულია 2017 წლის 23 მაისით (დოკუმენტის ნომერი 002-156), საგადასახადო ორგანოს მიერ დაკისრებული ვალდებულება შემცირდა 28,213 ლარამდე. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი თანხა იყო გადახდილი.

14 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ლარი

	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებუ ლი წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებუ ლი წლისათვის
საპროცენტო ხარჯები საბანკო სესხებზე	716,184	1,097,907
საპროცენტო ხარჯები დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებზე	2,311,322	2,244,140
მთლიანი ფინანსური ხარჯები	3,027,506	3,342,047
საპროცენტო შემოსავალი	519	47,121
მთლიანი ფინანსური შემოსავალი	519	47,121
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	(3,026,987)	(3,294,926)

15 სხვა ფინანსური ერთეულები

ლარი

	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებუ ლი წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებუ ლი წლისათვის
მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან:		
სესხები და მოთხოვნები	(45,699)	(46,724)
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით	(858,063)	895,201
	(903,762)	848,477

16 არასაოპერაციო შემოსავალი

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან მიღებული თანხები	947,711	377,024
საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდისგან მიღებული თანხები	2,379,942	2,261,500
სხვა ჩუქებები საოპერაციო შემოსავლები	17,705	1,854,765
	3,345,358	4,493,289

17 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასება

შეფასებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა, რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

17.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს მომავალთან დაკავშირებით. საბუღალტრო შეფასების შედეგები, იშვიათად არის შესაბამისობაში რეალურ შედეგებთან. ის შეფასებები და მსჯელობები, რომლებიც არის მნიშვნელოვანი რისკის შემცველი და იწვევს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებებს, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ხელმძღვანელობა აფასებს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ ძირითადი საშუალებების შეფასებითი სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად არ განსხვავდება აქტივის ეკონომიკური სიცოცხლის ვადისგან. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების ფაქტობრივი სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება შეფასებულისგან, ფინანსური ანგარიშგება შესაძლოა მატერიალურად განსხვავდებოდეს რეალურისგან.

უზუფრუქტის უფლება

როგორც ახსნილია შენიშვნა 1-ში, 2011 წლის 30 აგვისტოს გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება შპს დინამო არენასა და სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონთან უზუფრუქტის და აღნაგობის უფლების შესახებ. ამ ხელშეკრულების მიხედვით შეიღობილმა კომპანიამ უზუფრუქტით ქონების სარგებლობის უფლება მიიღო, ქონება მოიცავს სტადიონს, ადმინისტრაციულ შენობას და სხვა აღნაგობებს, რომელიც ეკუთვნის სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონს. ხელშეკრულების ვადად განისაზღვრა 2060 წლის 29 აგვისტო (49 წელი).

შვილობილი კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან ეს ხელშეკრულება არ მოიაზრება IFRIC 12 “*სერვისის კონცეხი*” ქვეშ, ვინაიდან, სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი არ აკონტროლებს გადაცემული აქტივების გამოყენების მიზნობრიობას, ვისზეა მიქირავებული ფართები, რა ფასად და რა პირობებით.

გამომდინარე აქედან, აქტივები, რომლებიც გადმოცემულ იქნა უზუფრუქტის ხელშეკრულების ქვეშ არ არის ნაჩვენები შეიღობილი კომპანიისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში.

შვილობილ კომპანიას ზემოთხსენებული ხელშეკრულება რომ ელიარებინა IFRIC 12 “სერვისის კონცეხის” ქვეშ, გადმოცემული აქტივები უნდა აღერიცხა როგორც არამატერიალური აქტივები IAS 38 “არამატერიალური აქტივები”-ს მიხედვით. აღტერნატიულად, შვილობილი კომპანიის ხელმძღვანელობას შეუძლია განიხილოს ეს ხელშეკრულება ფინანსური ღიზინგის კვალიფიკაციის ქვეშ.

შვილობილი კომპანიის ხელმძღვანელობა არ განიხილავს ზემოთხსენებულ ხელშეკრულებას როგორც ფინანსურ ღიზინგს, რადგან იგი არ აკმაყოფილებს IAS 17 “ღიზინგ”-ის პირობებს:

- ღიზინგის დასრულების პერიოდისთვის სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი არ გადასცემს აქტივების ფლობის უფლებას შვილობილ კომპანიას
- შვილობილ კომპანიას არ აქვს განზრახვა (არ გეგმავს) შეიძინოს გადმოცემული აქტივები
- მიუხედავად იმისა, რომ აქტივის ფლობის უფლება არ გადადის შვილობილ კომპანიაზე, აქტივის სრული სიცოცხლისუნარიანობის პერიოდში შვილობილი კომპანია არ განკარგავს ამ აქტივს
- ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან მინიმალური წლიური გადასახადი არ ფარავს აქტივის სამართლიან ღირებულებას და
- გადმოცემული აქტივები არ არის სპეციფიკური დანიშნულების. აქტივების მიმღებს შეუძლია ისინი გამოიყენოს სხვადასხვა დანიშნულებით.

გარდა ამისა, შვილობილი კომპანიის ხელმძღვანელობა ამ ხელშეკრულებას არ მოიაზრებს IAS 37 “ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები”-ს ქვეშ, რადგანაც:

- შვილობილ კომპანიას არ გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად.
- არ არის მოსალოდნელი, რომ საჭირო გახდება მომავალში რესურსების გაღინება ვალდებულების დასაფარად და
- არაა შესაძლებელი სრული თანხის განსაზღვრა ხელშეკრულების სრული პერიოდის განმავლობაში.

უზუფრუქტის ხელშეკრულების ფარგლებში შვილობილი ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულების მოქმედების პირველი 10 წლის განმავლობაში (შენიშვნა 1) გადაიხადოს ფიქსირებული გადასახადი, რომელიც შედგება 2 ნაწილისგან: (ა)საიჯარო წილი, რომელიც განიხილება როგორც საოპერაციო იჯარის თანხა და (ბ) სტადიონის სამშენებლო, სარემონტო (შენარჩუნების მიზნით) და ადმინისტრაციული მიზნებისთვის გაწეული ხარჯების წლიური თანხა, რომელიც აღიარებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფის სააღრიცხო პოლიტიკის შესაბამისად.

17.2 კრიტიკული შეფასებები სააღრიცხო პოლიტიკის შესახებ

შემდგომი შეფასებები გაკეთებულია ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის სააღრიცხო პოლიტიკის დანერგვისას, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ფინანსურ ანგარიშგებებზე.

დაარსებიდან ჯგუფი განიცდის ზარალს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზარალი შეადგენს 61,514,234 ლარს (2017 წლის დეკემბერი: 56,243,816 ლარი). ჯგუფის მიერ მიღებული შემოსავალი არ არის საკმარისი იმისათვის რომ დაფინანსდეს ყოველდღიური ოპერაციები და კაპიტალური ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის შენარჩუნებასთან და ახალი აქტივების შექმნასთან. ჯგუფის საქმიანობა შენარჩუნებულია დონაციისა და დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული დაფინანსების საფუძველზე (შენიშვნა 10), აგრეთვე კომერციული ბანკებისა და დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხისა და კაპიტალში შენატანების ხარჯზე (შენიშვნა 9.2).

ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ჯგუფის დამფუძნებელმა მიმართა შემდეგ ზომებს:

- 2016 წლის 18 თებერვალს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სააქციო კაპიტალი მომავალში გაიზრდება 27,000,000 აშშ დოლარამდე.
- სესხის რესტრუქტურისაცია მოხდა 2017 წლის 31 დეკემბერს, რის შედეგადაც სესხის ნაწილი გაიქვითა მოთხოვნებთან.
- სესხის რესტრუქტურისაცია მოხდა 2018 წლის 31 დეკემბერს, რის შედეგადაც სესხის ნაწილი გაიქვითა მოთხოვნებთან.

აქედან გამომდინარეობს, რომ ჯგუფის ხელმძღვანელობა შესაფერისად მიიჩნევს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგების მომზადებისას.

18 ფინანსური ინსტრუმენტები

18.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის, თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის, ვალდებულებისა და კაპიტალის ინსტრუმენტის კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.8-ში.

18.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

შენიშვნა 3.8 წარმოადგენს თითოეული ფინანსური აქტივისა და ვალდებულების კატეგორიის აღწერას და შესაბამის სააღრიცხვო პოლიტიკას. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები

2018 წლის 31 დეკემბერი	ამორტიზირებული ღირებულება	სამართლიანი ღირებულება მოგება- ზარალის გავლით	პეჯირებისთვის გამიზნული დერივატივები (FV)	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	437,561	-	-	437,561
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	657,525	-	-	657,525
	1,095,086	-	-	1,095,086

ფინანსური ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბერი	სხვა ვალდებულებები (FVTPL)	სხვა ვალდებულებები (ამორტიზირებული ღირებულება)	სულ
სესხები	-	30,270,922	30,270,922
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	373,205	373,205
	-	30,644,127	30,644,127

ფინანსური ინსტრუმენტები კლასიფიცირდა წინა პერიოდში ბასს 39-ის მიხედვით:

ფინანსური აქტივები

2017 წლის 31 დეკემბერი	გასაყი დად გამიზნ ული (FV)	სავაჭრო ოდ გამიზნ ული (FVTPL)	პეჯირების თვის გამოყენებუ ლი დერივატივე ბი	დაფარვის გადამდე ფლობილი (ამორტიზირე ბული დირებულება)	სესხები და მოთხოვნები (ამორტიზი რებული დირებულებ ა)	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნ ები	-	-	-	-	588,629	588,629
ფული სელზე და საბანკო ანგარიშ ებზე	-	-	-	-	972,845	972,845
	-	-	-	-	1,561,474	1,561,474

ფინანსური ვალდებულებები

ლარი 2017 წლის 31 დეკემბერი	სხვა ვალდებულებები (FVTPL)	სხვა ვალდებულებები (ამორტიზირებული დირებულება)	სულ
სესხები	-	28,823,776	28,823,776
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	362,554	362,554
	-	29,186,330	29,186,330

19 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან დაკავშირებული ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

ფინანსური რისკის შაქტორები

a) საბაზრო რისკი

ჯგუფი არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან დაკავშირებული ფინანსურ ინსტრუმენტებთან, განსაკუთრებით სავალუტო რისკისაგან, რომელიც დაკავშირებულია საინვესტიციო საქმიანობასთან.

სავალუტო რისკი

ჯგუფის მიერ განხორციელებული გარკვეული ტრანზაქციები წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად წარმოიშვება საკურსო სხვაობები.

ჯგუფის ოპერაციების დიდი ნაწილი ხორციელდება ქართულ ლარში. ჯგუფს, აგრეთვე აქვს სესხი ამერიკულ დოლარში, რომლითაც იყო დაფინანსებული მიმდინარე საქმიანობა.

ჯგუფის ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებაზე უცხოური ვალუტის გავლენა ნაჩვენებია ქვემოთ. წარდგენილი თანხები ნაჩვენებია ლარში კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ:

ერთეული

2018 წლის 31 დეკემბერი	ამერიკული დოლარი	ევრო
<i>ფინანსური აქტივები</i>		
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	46,918	4,018
	46,918	4,018
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სესხები	28,488,942	-
	28,488,942	-
წმინდა პოზიცია	(28,442,024)	4,018

ერთეული

2017 წლის 31 დეკემბერი	ამერიკული დოლარი	ევრო
<i>ფინანსური აქტივები</i>		
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	627,109	1,257
	627,109	1,257
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სესხები	28,435,979	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	45,553	307
	28,481,532	307
წმინდა პოზიცია	(27,854,423)	950

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ჯგუფის მგრძნობელობას ქართული ლარის 15%-იანი ზრდის ან შემცირების პირობებში აშშ დოლარის და ევროს მიმართ (2017: 15%). 15% (2017: 15%) არის ხელმძღვანელობის შეფასება ვალუტის სავარაუდო ცვლილებასთან დაკავშირებით. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ მოსალოდნელი კურსის შესაბამისად დენომინირებულ მონეტარულ ერთეულებს და აკორექტირებს მას 15%-იანი განაკვეთით პერიოდის ბოლოს (2017: 15%).

თუ დოლარი და ევრო გაამყარდება ლართან მიმართებაში 15%-ით (2017: 15% ორივე ვალუტისთვის), მაშინ ეს ცვლილება შემდეგ გავლენას მოახდენს:

ლარი	ამერიკული დოლარის გავლენა		ეროს გავლენა	
	2018	2017	2018	2017
მოგება ან ზარალი	4,466,304	4,178,163	(603)	(143)

სავალუტო კურსების ექსპოზიცია წლების მიხედვით იცვლება უცხოური ოპერაციების მოცულობის მიხედვით. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ანალიზი წარმოადგენს ჯგუფის პოზიციას სავალუტო რისკების მიმართ.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტებისგან, რომლებიცაა ფული და ფულის ეკვივალენტები ბანკში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

საკრედიტო რისკი იმართება ჯგუფურ ბაზაზე ჯგუფის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ასაღიარებლად ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის, რადგან აღნიშნული ერთეულები არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფინანსური კომპონენტს.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი დამოკიდებულია საგადახდო პროფილზე გაყიდვებისთვის რომელიც გადავადებულია გასული 365 დღით, ასევე შესაბამისი ისტორიული საკრედიტო ზარალი მოცემულ პერიოდში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებისთვის 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობის მიხედვით არის შემდეგი:

ათასი ლარი

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
2018 წლის 31 დეკემბერი			
6 თვეზე ნაკლები	-	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	100%	(9,617)	(9,617)
1 წელზე მეტი	100%	(222,038)	(222,038)
		<u>(231,655)</u>	<u>(231,655)</u>

ათასი ლარი

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
2018 წლის 1 იანვარი			
6 თვეზე ნაკლები	-	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-
1 წელზე მეტი	100%	(222,038)	(222,038)
		<u>(222,038)</u>	<u>(222,038)</u>

ვ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, ჯგუფის ვალდებულებების გადახდის უუნარობას.

ჯგუფი ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, რათა ჯგუფმა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილი იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2018	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		10.49%	
6 თვეზე ნაკლები	373,205	1,260,496	1,633,701
6 თვიდან 1 წლამდე	-	4,866,613	4,866,613
1-5 წლამდე	-	28,308,343	28,308,343
5 წელზე მეტი	-	-	-
	373,205	34,435,452	34,808,657

2016	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		11.78%	
6 თვეზე ნაკლები	362,554	1,871,314	2,233,868
6 თვიდან 1 წლამდე	-	1,871,314	1,871,314
1-5 წლამდე	-	36,814,216	36,814,216
5 წელზე მეტი	-	-	-
	362,554	40,556,844	40,919,398

რისკის მართვისთვის, ჯგუფი იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, მათ შორის ფულად რესურსებსა და სავაჭრო მოთხოვნებს. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები არის ნაკლები, ვიდრე მისი მიმდინარე საჭიროება ფულად გასაღებზე.

20 სამართლიანი ღირებულება

ჯგუფი გვთავაზობს იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და აჯგუფებს მათ 3 დონეზე. თითოეული დონე განხილულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (დასაკორექტირებელი) ფასით მიმდინარე ბაზარზე;
- დონე 2 – გულისხმობს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას კოტირებული ფასისგან, პირველი დონის ჩათვლით, განსხვავებული ფასით, რომელიც დაკვირვებადია როგორც პირდაპირ (ანუ ფასების მიხედვით) ისე ირიბად (ანუ ფასებიდან გამომდინარე) და;
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულების გაზომვები გამომდინარეობს შეფასების სხვადასხვა მეთოდებიდან, რომლებიც მოიცავს აქტივებისა და ვალდებულებების ისეთ მონაცემებს, რომლებიც არ არის დაფუძნებული დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებზე.

20.1 სამართლიანი ღირებულებით გაზომვა ფინანსური ინსტრუმენტებისათვის

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც წარდგენილია

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მსგავსი ინსტრუმენტების შესაბამისი ფულადი ნაკადების დისკონტირებით საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით. ამ საკითხში ყველაზე მნიშვნელოვან მონაცემს წარმოადგენს დისკონტირების განაკვეთი. აღნიშნული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებული სამართლიანი ღირებულება კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის შესაბამისად 3 დონეზე.

21 კაპიტალური რისკის მართვა

ჯგუფი მართავს თავის კაპიტალს ისე, რომ შეძლოს ფუნქციონირება მინიმუმ შემდგომი ერთი წლის განმავლობაში (going concern).

კაპიტალის სტრუქტურა შეიცავს გამოშვებულ კაპიტალს, აკუმულირებულ მოგებასა და სესხებს, რომელიც წარდგენილია მე-10 შენიშვნაში.

მმართველობა უზრუნველყოფს კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის მოთხოვნებს, რათა განაგრძოს ეფექტური ფინანსირების სტრუქტურა და თავიდან აიცილოს დიდი სესხები. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და აკეთებს კორექტირებას აქტივებზე ეკონომიკური ფაქტორებისა ცვლილებების და რისკის მახასიათებლების გათვალისწინებით.

თანხები, რომლებსაც კომპანიის კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის, არის შემდეგი:

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	(9,416,097)	(5,854,440)
მინუს: ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე	(657,525)	(972,845)
კაპიტალი	(10,073,622)	(6,827,285)
მთლიანი კაპიტალი	(9,416,097)	(5,854,440)
სესხები	30,270,922	28,823,776
საერთო დაფინანსება	20,854,825	22,969,336
კაპიტალის მთლიან დაფინანსებასთან ფარდობის მაჩვენებელი	(0.4830)	(0.2972)

22 პირობითი ვალდებულებები

22.1 საოპერაციო იჯარის პრობითი ვალდებულებები

საოპერაციო იჯარის ვალდებულება მოიცავს იჯარის გადასახადს უზუფრუქტის ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც გაფორმდა 2011 წლის 30 აგვისტოს შპს დინამო არენასა და სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონს შორის, როგორც ეს აღწერილია შენიშვნა 1-ში.

საიჯარო ვალდებულებები ხელშეკრულების მიხედვით წარდგენილია ქვემოთ ცხრილში:

ლარი	2018 წლის	2017 წლის
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
1 წლის განმავლობაში	97,203	97,203
1-დან 5 წლამდე	97,203	194,407
5 წლიდან ზევით	-	-
	194,406	291,610

22.2 სხვა სახელშეკრულებო პირობითი ვალდებულებები

სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს უზუფრუქტის სარგებლობის საზღაურად გასაწევ ხარჯებს სტადიონის რეკონსტრუქციის და მოვლა შენახვისათვის, რომელიც გაწერილია 2011 წლის 30 აგვისტოს გაფორმებულ ხელშეკრულებაში შპს დინამო არენასა და სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონს შორის, როგორც ეს აღწერილია შენიშვნა 1-ში.

სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებები ხელშეკრულების მიხედვით:

ლარი	2018 წლის	2017 წლის
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
1 წლის განმავლობაში	453,644	453,644
1-დან 5 წლამდე	453,644	907,288
5 წლიდან ზევით	-	-
	907,288	1,360,932

23 გაუთვალისწინებელი გარემოებები

23.1 ბიზნეს გარემო

საქართველო პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების პროცესშია. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საკმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე.

შემდგომი ეკონომიკური განვითარების ძირითადი დაბრკოლება ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების დაბალი დონეა, ცენტრალიზებული ეკონომიკური ბაზის, რეგიონალური არასტაბილურობისა და საერთაშორისო ეკონომიკურ კრიზისთან ერთად.

საქართველოსთან თანამშრომლობაში მყოფი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ გამოიწვია საზღვარგარეთიდან შემოსული ფულის შემცირება, რაზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. პროდუქტების საერთაშორისო ფასების შემცირებამ, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებთან დაკავშირებული გაურკვევლობებმა, ინფლაციამ, შესაძლოა გამოიწვიოს ქართული ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობა გაუარესება. თუმცა, როგორც ამ გაურკვევლობებში ჩართული ცვალებადებისა და დაშვებების რიცხვი მაღალია, ხელმძღვანელობა ვერ შეძლებს იმ საანგარიშო თანხების საიმედო შეფასებას, რომლის თანახმადაც ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შეიძლება შეიცვალოს.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ დღევანდელ პირობებში სათანადო ღონისძიებები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

23.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. ჯგუფი სრულად ვერ აზღვევს დანადგარებს, ბიზნესის გამართულ მუშაობას, მესამე მხარის მიმართ ვალდებულებებს და ბუნებრივი მოვლენების შედეგად მიღებულ ზიანს. სანამ ჯგუფი ადეკვატურად დაეზღვევა, არის რისკი რომ, ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს ჯგუფის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

23.3 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. ხშირია შემთხვევები, როცა განმარტებები განსხვავდება ერთმანეთისგან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან კანონით დაარიცხონ ჯარიმები და საურავები.

ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარდგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს კომპანიის წარდგენაზე.

24 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების ცვლილება
კლასიფიცირდება შემდეგი სახით:

ლარი	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	სულ
2017 წლის 1 იანვარი	25,927,973	3,773,780	29,701,753
ფულადი ნაკადები			
გადახდა	(50,212)	(3,859,619)	(3,909,831)
შემოსავალი	-	1,825,763	1,825,763
გადახდილი პროცენტი	-	(855,404)	(855,404)
არაფულადი მუხლები			
სამართლიანი ღირებულება	(273,482)	-	(273,482)
დარიცხული პროცენტი	3,072,002	270,045	3,342,047
მოთხოვნებთან გაბათილება	(111,869)	-	(111,869)
საკურსო სხვაობა	(413,157)	(482,044)	(895,201)
რეკლასიფიკაცია	(3,095,319)	3,095,319	-
2017 წლის 31 დეკემბერი	25,055,936	3,767,840	28,823,776
ფულადი ნაკადები			
გადახდა	-	(4,588,080)	(4,588,080)
შემოსავალი	-	4,469,611	4,469,611
გადახდილი პროცენტი	-	(507,536)	(507,536)
არაფულადი მუხლები			
სამართლიანი ღირებულება	(1,708,761)	-	(1,708,761)
დარიცხული პროცენტი	2,158,663	868,844	3,027,507
მოთხოვნებთან გაბათილება	(103,658)	-	(103,658)
საკურსო სხვაობა	595,890	262,173	858,063
რეკლასიფიკაცია	(1,775,559)	1,775,559	-
2018 წლის 31 დეკემბერი	24,222,511	6,048,411	30,270,922

25 დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებული მხარეები მოიცავს მშობელ, შვილობილ კომპანიას, მმართველობით პერსონალსა და სხვა მხარეებს, რომლებიც აღწერილია ქვემოთ:

25.1 საკონტროლო ურთიერთობები

ჯგუფი კონტროლდება შპს პავლიკო ინვესტმენტის მიერ, რომელიც არის შპს საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის 100%-ანი მფლობელი. შპს პავლიკო ინვესტმენტის მფლობელები არიან სოფიკო ფიფია (50%) და ბექა ფიფია (50%). სოფიკო და ბექა ფიფიას წილებს განკარგავს კომპანია One World Fiduciaries Limited.

25.2 დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები

პერიოდის განმავლობაში შემდგომი ტრანზაქციები განხორციელდა ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებთან:

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებუ ლი წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებუ ლი წლისათვის
ტრანზაქციები		
საპროცენტო ხარჯი	2,158,662	2,209,680
<i>ხელმძღვანელობა</i>		
ხელფასები და ბონუსები	184,284	292,553
<i>სხვა დაკავშირებული მხარე</i>		
საპროცენტო ხარჯი	152,660	34,460
ლარი	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებუ ლი წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებუ ლი წლისათვის
პერიოდის ბოლოს ნაშთები		
<i>სხვა დაკავშირებული მხარე</i>		
მიღებული სესხები	2,211,167	1,280,763
დაფარული სესხები	907,481	1,242,519
<i>ხელმძღვანელობა</i>		
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	256	1,772
<i>მშობელი კომპანია</i>		
დაფარული სესხები	-	50,211

26 ფუნქციონირებადი საწარმო

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს მეთოდზე დაყრდნობით (on a going concern basis), რაც გულისხმობს აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ბიზნესის ჩვეულებრივი კურსის პირობებში.

დაარსების შემდგომ ჯგუფი განიცდის ზარალს, 2018 წლის 31 დეკემბრისთვის დაგროვილი ზარალი შეადგენს 61,514,234 ლარს (2017 წლის 31 დეკემბრისთვის: 56,243,816 ლარი). ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებები აღემატება მის მიმდინარე აქტივებს 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფის კომპანიების მიერ მიღებული შემოსავალი არ არის საკმარისი იმისათვის რომ დაფინანსდეს ყოველდღიური ოპერაციები და კაპიტალური ხარჯები, რომლებიც

დაკავშირებულია არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის შენარჩუნებასთან და ახალი აქტივების შექმნასთან.

ჯგუფის საქმიანობა შენარჩუნებულია დონაციისა და დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული ფინანსური შენატანების საფუძველზე (შენიშვნა 10), აგრეთვე კომერციული ბანკებისგან და დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხის ხარჯზე (შენიშვნა 9.2).

2016 წლის 18 თებერვალს დამფუძნებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მშობელი კომპანიის მფლობელი გეგმავს კაპიტალის ზრდას 27,000,000 აშშ დოლარის ოდენობით.

დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები ფინანსური დახმარების რეალურ შედეგებსა და ხელმძღვანელობის შეფასებებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავების შემთხვევაში, ჯგუფი შესაძლოა აღმოჩნდეს ფუნქციონირებადი საწარმოს პრობლემის წინაშე და ფინანსური ანგარიშგებაც აღმოჩნდეს მატერიალურად განსხვავებული რეალობისგან.



DINAMO TBILISI

1925

სა ფინანსო თბილისი

ბორის პაიჭაძის ქ. #11

თბილისი 0159; საქართველო

ტელ.: +995 32 249 67 77

+995 32 251 88 77

ფაქსი: +995 32 250 79 83

27.09 2019

N: 04/87

შპს საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი

მმართველობის ანგარიშგება

2018 წელი

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

შპს საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი არის ამავე დასახელების მქონე საფეხბურთო კლუბის მფლობელი. კლუბი დინამო თბილისის ისტორია 1925 წლის შემოდგომიდან იღებს სათავეს, როცა სპორტის საზოგადოება დინამოს ხელმძღვანელებმა საფეხბურთო გუნდი ჩამოაყალიბეს.

კომპანიას გააჩნია ახალგზარდა ფეხბურთელთა აკადემია, სადაც მიმდინარეობს მომავალი ფეხბურთელების წვრთნა და აღზრდა.

ამჟამად დინამოს დასაქმებული ყავს 200-ზე მეტი თანამშრომელი. კომპანიის საკადრო პოლიტიკა ითვალისწინებს თანამშრომლების შერჩევას ღია კონკურსის წესით, ხოლო მათი გაშვების პროცედურები სრულად შეესაბამება საქართველოს შრომითი კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კომპანიის მენეჯმენტი ორიენტირებულია დასაქმებულ პერსონალთან ხანგრძლივ და სტაბილურ ურთიერთობაზე. ამასთანავე კომპანია ზრუნავს კადრების პროფესიულ განვითარებაზე (პერიოდულად უშვებს თანამშრომლებს ტრენინგებზე და კურსებზე) და ა.შ.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი აქტივობა არანაირ ნეგატიურ ზეგავლენას არ ახდენს გარემოზე და შესაბამისად გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით არანაირ რეპორტირებს არ აწარმოებს.

1.1. ინფორმაცია შვილობილ კომპანიაზე

2011 წლის აგვისტოში შპს საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისმა დააარსა შვილობილი კომპანია შპს დინამო არენა.

{ 1 }

WWW.FCDINAMO.GE

ჩვენი ძალააქი, ჩვენი გუნდი



2011 წლის 30 აგვისტოს შპს დინამო არენასა და სს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონს შორის გაფორმდა ხელშეკრულება უზუფრუქტის აღნაგობისა და უფლების შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით შპს დინამო არენამ მიიღო აქტივები, მათ შორის სტადიონი, ადმინისტრაციული შენობა და სხვა აღნაგობები. ხელშეკრულების ვადაა 2060 წლის 29 აგვისტო (49 წელი).

შვილობილი კომპანიის ძირითადი ფუნქციაა სტადიონის მოვლა-შენახვა. შპს დინამო არენას შემოსავლები აქვს ძირითადად სტადიონისა და მიმდებარე ტერიტორიის გაქირავების შედეგად.

ამჟამად შპს დინამო არენას 90-მდე თანამშრომელი ყავს დასაქმებული.

2. ინდუსტრიის მიმოხილვა

თანამედროვე ფეხბურთის სამყაროში თანხების მოზიდვას და კლუბის მომგებიანობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: მატჩებზე ბილეთების რეალიზაცია, რეკლამა, სატელევიზიო უფლებების გაყიდვა, უეფასგან და ფიფასგან საპრიზო თანხები და ასევე საკლუბო ატრიბუტიკით ვაჭრობა, ამათ გარდა დიდი წილი მოდის ფეხბურთელების ტრანსფერებზე. როგორც ზემოთჩამოთვლილიდან ჩანს, საფეხბურთო კლუბების კეთილდღეობა დიდად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობაზე.

საქართველოს ბიზნეს გარემო პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების პროცესშია. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. აღნიშნული ფაქტორები განაპირობებენ საფეხბურთო მატჩებზე მოსახლეობის დაბალ აქტივობას და გამომდინარე აქედან ბიზნეს სექტორის დაბალ დაინტერესებას (ფეხბურთში თანხების ინვესტირებით, რეკლამის განთავსებით) და სხვა. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ფეხბურთი იმყოფება განვითარების საწყის ეტაპზე, რის გამოც სატელევიზიო კომპანიების მხრიდანაც არ ხდება ქართული საფეხბურთო კლუბების თამაშების ტელეტრანსლაცია (სატელევიზიო უფლებების გაყიდვა). ასევე, ქართული ფეხბურთელების ტრანსფერები ევროპულ კლუბებში არ წარმოადგენს ხშირ მოვლენას და ასეთის განხორციელების შემთხვევაში ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერის ღირებულება გაცილებით ნაკლებია, ევროპულ კლუბებთან შედარებით.

ზუსტად ზემოთაღნიშნული ფაქტორების გამო, სახელმწიფოს მიერ დაარსდა ფეხბურთის განვითარების ფონდი, რომლის მეშვეობითაც ხდება ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა.

ერთის მხრივ, ქართული კლუბების საქმიანობას ორგანიზებასა და მონიტორინგს უწევს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (შპს საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი, წარმოადგენს მის მუდმივ წევრს) და UEFA. ნებისმიერი ქართული კლუბისათვის სავალდებულოა დაიცვას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა, UEFA-სა და FIFA-ს რეგულაციები. აღსანიშნავია, რომ საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი წარმოადგენს ქართული ფეხბურთის ფლაგმანს და მკაცრად იცავს ზემდგომი საფეხბურთო ორგანოების ყველა მოთხოვნას, კერძოდ, კლუბი გადის რეგულარულ (წელიწადში რამდენჯერმე) ფინანსურ მონიტორინგს, საქმიანობის მონიტორინგს და მისი არსებობის განმავლობაში არ შექმნია პრობლემა.

3. ფინანსური ანგარიშის მიმოხილვა

შპს საფეხბურთო კლუბ დინამო თბილისმა წარადგინა აუდირებული ფინანსური ანგარიში, რომელიც დათარიღებულია 2019 წლის 28 თებერვლით. 2018 წლის ფინანსური წელიწადი ჯგუფმა დაასრულა ზარალით, რაც განპირობებულია მისი საქმიანობის სპეციფიკით, რომელიც აღნიშნულია ამავე ანგარიშის მე-2 პუნქტში.

როგორც კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშშია ნაჩვენები, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კონსოლიდირებულმა ზარალმა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 61,5 მლნ. ლარი.

კომპანიის ლიკვიდურობის კოეფიციენტი 0.41-დან შემცირდა 0.23-მდე. აღნიშნული ცვლილება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ კომპანიამ საოპერაციო საქმიანობის დაფინანსების მიზნით 2018 წლის განმავლობაში მოიზიდა დამატებითი მოკლევადიანი სასესხო რესურსები კომრციული ბანკებიდან.

2018 წელს კომპანიაში არ მომხდარა საწესდებო კაპიტალის ზრდა. თუმცა 2016 და 2017 წლის განმავლობაში კომპანიის კაპიტალი შეივსო 7 მილიონზე მეტი ლარით.

კომპანიას აღებული აქვს გრძელვადიანი სესხები როგორც დაკავშირებული მხარისგან, ასევე კომერციული ბანკისგან. წინა პერიოდთან შედარებით ვალდებულების საკუთარ კაპიტალთან შეფარდებითი კოეფიციენტი შემცირდა 4.92 მაჩვენებლიდან 3.27 მაჩვენებლამდე. აღნიშნული ფაქტორი განპირობებულია აკუმულირებული ზარალისა და მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებების ზრდით.

4. განვითარების გეგმები

ჯგუფის ძირითადი შემოსავლები შედგება შემდეგი წყაროებისგან:

- გაყიდული ბილეთები
- ფეხბურთელების ტრანსფერები
- მოზიდული დონაციები სხვადასხვა წყაროებიდან
- მიზნობრივი დაფინანსებები ფეხბურთის განვითარებისთვის (მათ შორის ფეხბურთის განვითარების ფონდი, ფეხბურთის ფედერაცია).
- ევრო თასებზე მონაწილეობის საპრიზო დაფინანსება UEFA-სგან
- ფეხბურთელების წვრთნის და აღზრდის კომპენსაციები
- საკლუბო ატრიბუტიკით ვაჭრობა (ფან შოპის გაყიდვები)
- შემოსავლები აკადემიიდან
- შემოსავლები იჯარიდან (სტადიონისა და მიმდებარე ტერიტორიის გაქირავებიდან).

კომპანიის ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს შემდეგს:

- საოპერაციო ხარჯები
- სახელფასო ხარჯები
- კაპიტალური დანახარჯები
- სესხის ხარჯები

კომპანიას გააჩნია სამომავლო განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად მუხლებს:

- ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარება წარმოადგენს კომპანიის ძირითად მიზანს, რასაც ემსახურება დიანმოს აკადემია: ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი ტალანტების აღმოჩენა (მთელი საქართველოს მასშტაბით), აკადემიის მიერ გაზრდილი ახალგაზრდა ფეხბურთელების ტრანსფერი წამყვან ევროპულ კლუბებში.
- კლუბის მოკლევადიანი ამოცანაა საქართველოს ჩემპიონობა და ევრო თასებზე თამაში, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში კლუბი გეგმავს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრას.
- სტადიონის ინფრასტრუქტურის შენარჩუნება-განვითარება. სტადიონის გაქირავება მასობრივი ღონისძიებებისთვის (კონცერტები, სხვადასხვა სპორტული თამაშები).

კომპანია მომავალში აპირებს თანხების მოზიდვას შემდეგი წყაროებიდან:

- საწესდებო კაპიტალის გაზრდა – კომპანიას გააჩნია დამფუძნებლის გადაწყვეტილება, 2016 წლის 18 თებერვლით დათარიღებული, რომლის შედეგადაც, დაგეგმილია საწესდებო კაპიტალის ეტაპობრივად შევსება 27,000,000 აშშ დოლარის ოდენობით.
- კომპანია 2019 წლის ბოლო კვარტლის განმავლობაში დაგეგმილი აქვს ფეხბურთელების ტრანსფერებიდან შემოსავალი 400 ათას ევროს ფარგლებში.
- UEFA-სგან კომპანია მოელის 800 ათას-მდე ევროს.
- კომპანია მოელის, რომ ფეხბურთელების ტრანსფერებისგან 2020 წლის განმავლობაში ნახავს 2 მლნ ევროზე მეტ თანხას.

5. რისკების მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი რისკების ტიპებია სავალუტო, საკრედიტო, ლიკვიდურობის და სხვა რისკები, რომლების აღწერილია ქვემოთ:

5.1. სავალუტო რისკი

კომპანიის ოპერაციების დიდი ნაწილი ხორციელდება ქართულ ლარში. აგრეთვე კომპანიას აქვს სესხი აშშ დოლარში, რომლითაც იყო დაფინანსებული მიმდინარე საქმიანობა. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის სესხების უმეტესი წილი არის უცხოურ ვალუტაში, რის

გამოც ეროვნული ვალუტის კურსის ვარდნა უარყოფითად აისახება კომპანიის მოგება-ზარალის შედეგებზე.

ვინაიდან ზემოაღნიშნული რისკი არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს, მენეჯმენტი მაქსიმალურად ცდილობს სასესხო ვალდებულებების წინსწრებით შემცირებას, კერძოდ დაკავშირებული მხარესგან მიღებული სესხების ნაწილობრივ კონვერტაციას კაპიტალში, ხოლო საბანკო სესხების შემთხვევაში წინსწრებით დაფარვას (სასესხო ხელშეკრულება იძლევა ამის საშუალებას ჯარიმების გარეშე).

5.2. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია ვერ მიიღებს მოსალოდნელ თანხებს. 2018 წლის 31 დეკემბრისათვის, კომპანიას არ გააჩნდა საკრედიტო რისკის მაღალი კონცენტრაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მიმართ.

იმისათვის, რომ ეფექტურად მართოს საკრედიტო რისკები, კომპანია პერიოდულად ახდენს მოთხოვნებს გადახედვას, აწარმოებს მიმდინარე ვითარების მუდმივ მონიტორინგს (ყოველთვიურს) და შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე აანალიზებს დებიტორის მიმდინარე გადამხდელუნარიანობას. დებიტორის გადამხდელუნარიანობის გაუარესების დაფიქსირების შემთხვევაში კომპანია თავდაპირველად აწარმოებს გონივრულ მოლაპარაკებებს, ხოლო ასეთის წარუმატებლობის შემთხვევაში მიმართავს კანონით განსაზღვრულ ყველა ზომას (სასამართლო, აღსრულება და ა.შ.),

5.3. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები, მაგალითად ვერ გადაიხდის საოპერაციო ხარჯებს, ხელფასებს, იჯარას, სესხებს და ა.შ.

აღნიშნული რისკს შეუძლია მკვეთრად შეაფერხოს კომპანიის გამართულად ფუნქციონირება და დააყენოს ის კრიზისის წინაშე,

აღნიშნული რისკის თავიდან აცილების და მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ფულადი ნაკადების მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის მოზიდვას და ფლობას, რათა მოხდეს ყველა აუცილებელი და ვადადამდგარი ხარჯის დროულად გადახდა. მათ შორის ხარჯების გასტუმრება ხდება პრიორიტეტულობის ფაქტორის გათვალისწინებით, ამასთანავე პრიორიტეტები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- 1) პირველ რიგში ჯგუფის პოლიტიკით განსაზღვრულია სახელმწიფოს წინაშე დავალიანების დაფარვა
- 2) თანამშრომლების წინაშე სახელფასო ვალდებულების გასტუმრება

3) აუცილებელი საოპერაციო ხარჯების გასტუმრება (კომუნალურები, კვება, კრედიტორები და ა.შ)

4) სასესხო ვალდებულებების დაფარვა და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომპანიის მენეჯმენტი მაქსიმალურად ცდილობს რისკების დროულ იდენტიფიცირებას და რეაგირებას შესაძლო ზიანის მინიმიზაციის და ჯგუფის მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

5.4. სხვა რისკები

საფეხბურთო კლუბის კუთვნილი ბაზის სიახლოვეს მიმდინარეობს საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. მშენებარე კორპუსი მდებარეობს საწვრთნელი ბაზის ერთ-ერთი საწვრთნელი მინდვრის უშუალო სიახლოვეში, რაც კლუბის ხელმძღვანელობის აზრით, წარმოადგენს მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს, გუნდის გამართული წვრთნის ჩასატარებლად.

აღნიშნულთან დაკავშირებით, კომპანიის ხელმძღვანელობამ მიმართა კორპუსის მშენებარე კომპანიას, თხოვნით გაეთვალისწინებინათ ქართული უძველესი ტრადიციების მქონე კლუბის თხოვნა, არ აეშენებინათ მრავლსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, რასაც შედეგი არ მოყვა. შესაბამისად ამ ეტაპზე დავა გადაცემულია სასამართლოში და სასამართლო მიმდინარე პროცესშია.

6. წარმოებული კვლევები

კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ის არ არის ჩართული კვლევებში ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში.

7. საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებული ტრანზაქციები

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება ერთი წილი აქციისაგან, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენს 34,116,421 ლარს. 2018 წლის განმავლობაში კომპანიის დამფუძნებელმა საწესდებო კაპიტალი არ გაზრდილა. კომპანიას საანგარიშგებო წელს არ განუხორციელებია არც საწესდებო კაპიტალის შემცირება.

საანგარიშგებო წელს გაიზარდა კომპანიის კაპიტალში დამატებითი კონტრიბუციები. კაპიტალში დამატებითი კონტრიბუცია მოიცავს დამატებით ინვესტიციას, რომელიც განხორციელდა დამფუძნებლის მხრიდან სესხზე დარიცხული პროცენტის პატიების სახით. კონტრიბუციის ზრდა ხდება აგრეთვე დამფუძნებლებისაგან მიღებული სესხის აღიარების მომენტისათვის სესხის ნომინალურ ღირებულებასა და სესხის სამართლიან ღირებულებას შორის წარმოქმნილი სხვაობის გამო.

ზაზა დოლიძე

დირექტორი

2019 წლის 26 სექტემბერი



დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში მმართველობის ანგარიშგებაზე

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T. + 995 322 604 406

შპს საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის ხელმძღვანელობას

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შპს საფეხბურთო კლუბ დინამო თბილისმა („კომპანია“) მოამზადა მმართველობის ანგარიშგება 2018 წლისათვის.

ჩვენ ჩავატარეთ კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და 2019 წლის 28 თებერვალს გავეცით ჩვენი დასკვნა, სადაც გამოვხატეთ ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება არ ეხება იმ სხვა ინფორმაციას რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (შემდგომში „კანონი“) მოამზადა კომპანიამ და წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგებაში. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი დასკვნის გაცემის შემდეგ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მმართველობის ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე:

- გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის თანხვედნილობაზე კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- აუდიტის განხორციელების პროცესში კომპანიის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით განვსაზღვროთ არსებითი უზუსტობები და საჭიროების შემთხვევაში მივუთითოთ მათი არსი;



- c) შევამოწმოთ, ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით და მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

- a) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას.
- b) ჩვენ განვსაზღვრეთ, რომ მმართველობის ანგარიშგება არესბით უზუსტობებს შეიცავს იმ შემთხვევაში, თუკი მასში ასახული ისტორიული მონაცემები აშკარად ეწინააღმდეგება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას. აგრეთვე, მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ სამომავლო გეგმებთან და პროგნოზებთან დაკავშირებით არსებით უზუსტობად მივიჩნევთ, თუკი ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას განვსაზღვრეთ, რომ კომპანიას საქმიანობის უწყვეტად გაგრძელება აღარ შეუძლია, ან აქვს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები ამ შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ხოლო მმართველობის ანგარიშგებაში ეს საკითხი არ არის (ან არასაკმარისად არის) განხილული. მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ სამომავლო გეგმებთან და პროგნოზებთან დაკავშირებით ჩვენ არ განვსაზღვრავს არსებითობის სხვა კრიტერიუმები. ჩვენს მიერ ჩატარებული პორცედურების შედეგად ჩვენ არ შეგვხვედრია არსებითი უზუსტობები, რომლებზეც საჭირო იქნებოდა ჩვენს ანგარიშში მითითების გაკეთება.
- c) მმართველობის ანგარიშგება მოიცავს კანონით განსაზღვრულ ყველა ინფორმაციას.

ვახტანგ ცაბაძე,

დირექტორი,

მმართველი პარტნიორი

ქეთევან დამბაშიძე

რეგისტრირებული აუდიტორი

2019 წლის 26 სექტემბერი

თბილისი

